მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო განიხილავს საქართველოს სარჩელს რუსეთის წინააღმდეგ

2011 წლის 1 აპრილს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ჰაგაში, გამოიტანს გადაწყვეტილებას საქმეზე – ***საქართველო რუსეთის წინააღმდეგ***, რომელიც ეხება „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის დარღვევის ფაქტებს.

საჯარო განხილვა დაიწყება დილის 10^{00} საათზე, ჰაგაში, „მშვიდობის სასახლეში, რა დროსაც სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე ჰისაში ოვადა, წაიკითხავს სასამართლოს განჩინებას.

<u>სასამართლო განხილვების მოკლე ისტორია</u>

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი, რომელიც ეხებოდა საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ქმედებებს, რა დროსაც დაირღვა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციით დადგენილი ნორმები. (კონვენცია მოქმედებს 1965 წლის 21 დეკემბრიდან). თავის განაცხადში, საქართველოს მხარე ითხოვს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ინდივიდის უფლებები დაცული და უზრუნველყოფილი იყოს კონვენციის შესაბამისად.

საქართველოს მიერ შეტანილი სარჩელის თანახმად, რუსეთის ფედერაციამ „დაარღვია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციით დადგენილი ნორმები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განხორციელებული ინტერვენციისას, რომელიც მოიცავს 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდს.“

საქართველომ სასამართლოს მიმართა თხოვნით, რომ მიუთითოს რუსეთის ფედერაციას, გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი აღნიშნული კონვენციით დაკისრებული მოვალების შესასრულებლად.

2008 წლიდან დღემდე სასამართლოს მიერ მიღებული იყო სხვადსხვა სახის შუალედური გადაწყვეტილებები, მათ შორის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ ორივე მხარეს მოუწოდა თავი შეეკავებინა რაიმე სახის რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლინებისაგან. ასევე, სასამართლოს მიერ დადგენილი იყო გარკვეული ვადები დამატებითი არგუმენტაციისა და მტკიცებულებების წარმოსადგენად.